



ბრძანება

N 9
17/01/2022

შპს „აუდიტსერვისი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

შპს „აუდიტსერვისი“ (ს/ნ 445392762; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ვ.გორგასლის ქ., N141/143,ბ. 60) წარმოადგენს აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (შემდგომ - რეესტრი) რეგისტრირებულ პირს სარეგისტრაციო ნომრით SARAS-F-269429.

2020 წლის 22 დეკემბერს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) წარედგინა შპს „აუდიტსერვისი“-ს N270278/21-11 განცხადება, რომლის თანახმად, შპს „აუდიტსერვისი“-ს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის (N PIN-100235) სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2021 წლის 14 დეკემბრამდე, ხოლო განახლებული პოლისი სამსახურისთვის წარდგენილი არ ყოფილა.

2021 წლის 30 დეკემბერს შპს „აუდიტსერვისი“-ს ჩაბარდა სამსახურის წერილი (N 16/151361), რომლის თანახმად, აუდიტორულ ფირმას განესაზღვრა 5 სამუშაო დღის ვადა განახლებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე ინფორმაცია/დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის. ზემოაღნიშნული ინფორმაცია შპს „აუდიტსერვისი“-ს სამსახურისთვის დღემდე არ წარუდგენია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-17 მუხლის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც თავისი სახელით ახორციელებს აუდიტორულ საქმიანობას, ვალდებულია დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით. „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის წერილობით გაფრთხილებას. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურის წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მიიღოს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება.“

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე

დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა. სამსახურისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „აუდიტსერვისი“-ს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ვადა განისაზღვრებოდა 2021 წლის 14 დეკემბრამდე, ხოლო განახლებული პოლისი სამსახურისათვის წარდგენილი არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, დარღვეულია კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უწყვეტობის მოთხოვნა, რაც იწვევს აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის, მე-17 მუხლის, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „აუდიტსერვისი“-ს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. დაევალოს შპს „აუდიტსერვისი“-ს წარმოადგინოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე ინფორმაცია/დოკუმენტაცია 05 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მიღებულ იქნას აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში შპს „აუდიტსერვისი“-ს რეესტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

თორნიკე ძაგნიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) - მ.შ
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

